# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-205

ქ. თბილისი „07“ 05 2010 წ.

**შპს “ორთაჭალაჰესი 2007”-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ” ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს “ორთაჭალაჰესი 2007”-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – თბილისში, ორთაჭალაჰესის მიმდინარე საქმიანობაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №16; 12.04.2010 და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.*